საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2014 წლის 13 მაისის
დადგენილება № 1151

სტუ-ს სტუდენტების ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 და 43-ე მუხლების თანახმად, არსებული წესის მიხედვით, შევიდეს ნაწილობრივი ცვლილება აკადემიური საბჭოს 2010 წლის 5 ივლისის №289 დადგენილებაში და 2013-2014 სასწავლო წლის II სემესტრში ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე (სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე) შესაძლოა გადაყვანილ იქნენ შემდეგი კატეგორიის სტუდენტები:

   ა) ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატების და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების, აგრეთვე, საქართველოს ჩემპიონატებისა და უნივერსიადების მონაწილეები;
   ბ) საქართველოს, სტუ-ს ნაკრებებისა და მოქმედი სპორტული გუნდების წევრები;
   გ) სტუ-ს შემოქმედებით და სახელოვნებო წრეებში (თეატრი, კაპელა, ქორეოგრაფიული ანსამბლი, კვარტეტი და ა.შ.) გაერთიანებული სტუდენტები;
   დ) მომღერლები, მსახიობები და კულტურის სფეროში აქტიურად მოღვაწენი;
   ე) სხვადასხვა დაწესებულებაში მომუშავენი ან სტუ-ს რეკომენდაციით სტაჟირებზე მყოფნი;
   ვ) საზღვარგარეთის სასწავლებლებში ჩარიცხული მოსწავლეები;
   ზ) სტუ-ს მიერ საზღვარგარეთ მივლინებულნი;
   თ) სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის საფაკულტეტო წარმომადგენლები;
   ი) სოციალური პრობლემის მქონენი;
   კ) ჯანმრთელობის პრობლემის მქონენი.

2. ფაკულტეტების დეკანებმა უზრუნველყონ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადაყვანილი სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართვა.

3. სტუდენტთა ელექტრონული მონიტორინგის სისტემის კომპიუტერული უზრუნველყოფის ჯგუფმა გაითვალისწინოს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისათვის შეფასებათა რეგისტრაციის ღონისძიებები.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე